საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1307
05.11.2025

ბრძანება

1307-01-4-202511051737

სს „ბაშკირ სოდა კომპანიის“ (სახელმწიფო რეგ. N1020202079479; გადასახადის გადამხდელის N0268008010) საჩივრის ფარგლებში მოპასუხე შპს „დაფნას“ (ს/ნ: 206337604) მიერ აღებული პირობითი ვალდებულების დამტკიცების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ზ[1] მუხლის, 23-ე მუხლის მე-5, მე-6 პუნქტის, 24-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების“ მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს „დაფნას“ (ს/ნ: 206337604) მიერ 2025 წლის 5 ნოემბერს აღებული პირობითი ვალდებულება თანდართული სახით.
2. სს „ბაშკირ სოდა კომპანიას“ (სახელმწიფო რეგ. N1020202079479; გადასახადის გადამხდელის N0268008010) 2025 წლის 9 სექტემბრის 01/5315 საჩივრის საფუძველზე არ იქნეს დაწყებული მოკვლევა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად აღებული პირობითი ვალდებულების გათვალისწინებით.
3. მოპასუხე შპს „დაფნას“ (ს/ნ: 206337604) დაევალოს აღებული პირობითი ვალდებულების შესრულება და სააგენტოს ინფორმირება შესაბამისი ვადების დაცვით.
4. წინამდებარე ბრძანება დანართით 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაეგზავნოთ მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.
5. წინამდებარე ბრძანება დანართით 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის

საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: შპს „დაფნას“ (ს/ნ: 206337604) მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და შპს „დაფნას“ (ს/ნ: 206337604) შორის გაფორმებული 2025 წლის 5 ნოემბრის შეთანხმება.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

შეთანხმება შპს „დაფნას“ (ს/ნ: 206337604) მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე

5 ნოემბერი, 2025 წელი

ერთი მხრივ, შპს „დაფნა“ (ს/ნ: 206337604) (მის: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ნაკვეთი 05/004) (შემდგომში „მოპასუხე ეკონომიკური აგენტი“) წარმოდგენილი მინდობილი პირების სოფიო ხაჯიშვილისა (პ/ნ:) და ლევან პაპიაშვილის (პ/ნ: მიერ (მინდობილობა N145 გაცემული 2025 წლის 6 ოქტომბერს შპს „დაფნას (ს/კ: 206337604) დირექტორის ვუგარ არაბოვის (პ/ნ:) მიერ, სააგენტოში რეგისტრაციის N01/5919, 6.10.2025) და მეორე მხრივ, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილი თავმჯდომარის ირაკლი ლექვინაძის მიერ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-17[1] მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ზ[1] მუხლის, 23-ე მუხლის მე-5, მე-6 პუნქტის, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების“ მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. სს „ბაშკირ სოდა კომპანიის“ (სახელმწიფო რეგ. N1020202079479; გადასახადის გადამხდელის N0268008010) 2025 წლის 9 სექტემბრის N01/5315 საჩივრის ფარგლებში, მოპასუხე ეკონომიკური აგენტი იღებს ვალდებულებას კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1.1.1. არაუგვიანეს 2025 წლის 15 ნოემბრისა გაყიდვებიდან ამოიღოს საკვები სოდის ამჟამინდელი სადავო შეფუთვით სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვებული პროდუქტი და აღნიშნული ღონისძიების გატარების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია/მტკიცებულება სააგენტოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2025 წლის 1 დეკემბრისა.

1.1.2. დაუყოვნებლივ განახორციელოს საკვები სოდის ამჟამინდელი სადავო შეფუთვის გვერდხედზე მითითებული ბმულის - www.sodainfo.ru ამოღება და არ დაუშვას პროდუქტის რეალიზაცია მისი გამოყენებით.

1.1.3. შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა საკვები სოდის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა განახორციელოს იმ ფორმითა და შეფუთვით, რომელიც არ ლახავს მომჩივანი სს „ბაშკირ სოდა კომპანიის“

(სახელმწიფო რეგ. N1020202079479; გადასახადის გადამხდელის N0268008010) საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და დაცულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებას (სასაქონლო ნიშნების რეგ. N1242730 და N23645) და რომელიც მომხმარებლის მხრიდან არ იწვევს/გამოიწვევს აღრევას ან აღრევის რისკს. აღნიშნული ღონისძიების გატარების თაობაზე ინფორმაცია/მტკიცებულება, მათ შორის, რეალიზაციაში ჩაშვებული პროდუქტის ფორმის (შეფუთვის) შესახებ, სააგენტოს წარედგინოს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის მომენტიდან.

1.1.4. ცნობად იქნეს მიღებული მოპასუხე ეკონომიკური აგენტ შპს „დაფნას" მიერ სააგენტოში წარმოდგენილი 2025 წლის 20 ოქტომბრის N01/6216 წერილის დანართის შესაბამისად მიღებული ინფორმაცია, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში („საქპატენტი") სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადის (N136030/03, თარიღი: 17.10.2025) შეტანის თაობაზე.

1.1.5. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში („საქპატენტი") სარეგისტრაციოდ წარდგენილ სასაქონლო ნიშანზე (სარეგისტრაციო განაცხადით (N136030/03, თარიღი: 17.10.2025)) რეგისტრაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ სააგენტოს აცნობოს ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

1.2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

1.3. მოპასუხე ეკონომიკური აგენტი ვალდებულია, პირობითი ვალდებულებების შესაბამისი დანაწესები შეასრულოს ამ შეთანხმების პირველი მუხლისა და 2.1 პუნქტის შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს აღებული პირობითი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება პერიოდულობით.

2.2. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ პირობით აღებული ვალდებულების შესრულების მონიტორინგი.

2.3. მოპასუხე ეკონომიკური აგენტი ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია პირობით აღებული ვალდებულებების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე წინამდებარე შეთანხმების პირველი მუხლის შესაბამისად.

3. შეთანხმების შეუსრულებლობის შედეგები

მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ პირობითი ვალდებულებების განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული სახით შეუსრულებლობის შემთხვევაში სააგენტო

უფლებამოსილია განაახლოს საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმება, რომლის ვადის ათვლაც დაიწყება თავიდან და განახორციელოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

4.1. თითოეული მხარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორული გარემობები) შედეგად. შეთანხმების მიზნებისათვის „ფორსმაჟორულ" გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება სააგენტოს ან მოპასუხე ეკონომიკური აგენტის კონტროლის ფარგლებს და შესაბამის მხარეს არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდის. შეთანხმების მიზნებისთვის „ფორსმაჟორული" გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სიტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით, წარმოების სხვა სახის შეფერხებით.

4.2. ფორსმაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე, შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან.

4.3. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სხვა პირობები

წინამდებარე შეთანხმება დადებულია მხარეთა თავისუფალი ნების შესაბამისად.

6. მხარეთა ხელმოწერები

მოპასუხე ეკონომიკური აგენტი შპს „დაფნა":	**სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო:**
წარმომადგენლები	თავმჯდომარე
სოფიო ხაჯიშვილი	ირაკლი ლექვინაძე
ლევან პაპიაშვილი	